დანართი 7

სასერტიფიკატო პროგრამა

1. **პროგრამის დასახელება** – ტურის მეგზური (გიდი) **(Tour Guide).**

2. **პროგრამის მოცულობა -** 60 ECTS.

3. **პროგრამის ხანგრძლივობა** – 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი).

4. **პროგრამის განხორციელების ადგილი** – თსუ, ტურიზმის საერთაშორისო სკოლა (უნივერსიტეტის ქ. #2).

5. **პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა** – 15 - 25 კაცი

6. **პროგრამაში ჩართვის წინაპირობები -**

   სრული ზოგადი განათლება და ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B დონაზე).

7. **პროგრამის ღირებულება** – 2.250 ლარი

8. **პროგრამის მიზანი**

   პროგრამის მიზანს წარმოადგენს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს უმნიშვნელოვანესი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების – ტურის გიდების მომზადება, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების მოკლე ვადაში გამომუშავებაზე. მისი მიზანია სტუდენტისათვის სასტუმროს ტურის გიდობისათვის აუცილებელი ზოგადი განათლების, აუცილებელი უნარ-ჩვევების სწავლება, რაც შესაბამის გამოცდილებსთან ერთად, მოამზადებს სტუდენტებს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ტურის გიდად საქმიანობისათვის.

9. **სწავლის შედეგები**

   ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს უმნიშვნელოვანესი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის – ტურის გიდის სერთიფიცირებულ სპეციალისტს ექნება საქართველოს ისტორიის, საქართველოს რეგიონებისა და მათი კულტურის, გეოგრაფიის, ფსიქოლოგიის,

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის, ტურისტთა დაცულობისა და უსაფრთხოების, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ცოდნა, ტურის გიდობის ტექნიკის, პრეზენტაციის, ტურის კვალიფიციურად გაძღოლის უნარ-ჩვევები და სხვ.